გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
   აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა

   პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსება. პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლია ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან(R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. პროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს და ღონისძიებებს: ა) პროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის კორექტირება. ბ) პროგრამის მოსარგებლისათვის თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს. წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსებისმინიმალურმა ოდენობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 13 სეანსი, ხოლო წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში,სეანსების ოდენობის არანაკლებ 1/4. ამასთან მშობლის თანხმობის შემთხვევაში სეანსის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს განსხვავებულ გარემოში გ)ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება; დ)6 თვეში ერთხელ მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება. „მუნიციპალიტეტი დააფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურეობის მიხედვით მაგრამ არაუმეტეს თვეში 400(ოთხასი) ლარისა.
2. **თემატიკა:**
   აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა
3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
   ა(ა)იპ „ოდა ქეარ“-ი.

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
   ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, გურიის მხარეში, შავი ზღვის პირას. რელიეფი ვაკე და გორაკ-ბორცვიანია, ზამთარი ზომიერად ცივი და ზაფხული ხანგრძლივად თბილია. ჩირდილოეთ-დასავლეთი ნაწილი უკავია გურიის დაბლობს, სამხრეთ-აღმოსავლეთი

ნაწილი უკავია გურიის სერს. მუნიციპალიტეტს დასავლეთიდან ესაზღვრება შავი ზღვის 7 კმ-იანი სანაპირო ზოლი აღმოსავლეთიდან სამტრედიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები, ჩირდილოეთით ხობის, სენაკის და აბაშის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

- მოსახლეობის რაოდენობა 31,486%
- ქალი - 51,69%
- კაცი - 48,4%
- საქალაქო დასახლება - 20,3%
- სასოფლო დასახლება - 79,7%

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
- მაღალკვალიფიციური საჯარო მოხელეების გუნდური მუშაობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე. მუნიციპალიტეტს აქვს გამართული ტექნიკური შესაძლებლობები (ინტერნეტი, ელექტროენერგია, კომუნიკაციები,) მუნიციპალიტეტი ზრუნავს ინფრასტრუქტურული მდგომარეობის მუდმივ გაუმჯობესებაზე. პრიორიტეტულია ჯანდაცვა მუნიციპალიტეტს აქვს 2 მულტიფუნქციური საავადმყოფო, 16 ამბულატორია.

- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

  მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესია ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და სუფსის ტერმინალი. საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალთან E-692 და სატრანსპორტო კვანძებთან მდებარეობა: ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმის პორტი, ფოთის პორტი.
  ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ძირითადად განვითარებულია სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა,. სტრატეგიული მნშვნელობის ობიექტების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, როგორც დასაქმების, აგრეთვე უსაფრთხოებისა და ცნობადობის კუთხით. ასეთი მნიშვნელობის ობიექტების არსებობა მეტ სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე

მიუთითებს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ახალი და მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად.
აღსანიშნავია ის ფაქტი რომ , ლანჩხუთი ერთ-ერთია იმ შვიდ მუნიციპალიტეტთა შორის, რომელმაც საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საგრანტო პროექტის ფარგლებში გაიმარჯვა. ამჟამად მუნიციპალიტეტი წარმატებით არის ჩართული სხვადასხვა მსხვილ პროექტებში:(.„2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (შემდგომში - სრიგპ) ფარგლებში,)

მუნიციპალიტეტის პოლიტიკა მიმართული იქნება სოციალური პრობლემების მქონე ოჯახების არა მხოლოდ ერთჯერად დახმარებებზე, არამედ მათთვის საჭირო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობაზე, რასაც უფრო მეტად გრძელვადიანი ეფექტი აქვს.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ახორციელებს პროგრამებს, რომლითაც ეხმარება მრავალშვილიან ოჯახებს, დევნილ ოჯახებს, გარდაცვლილი ომის მონაწილეთა ოჯახებს და სხვა. აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

მოგეხსენებათ, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობა (შემდგომში აუტიზმი) სიხშირით ყველაზე მზარდი ნეიროგანვითარებითი დარღვევაა, რაც უმრავლეს შემთხვევაში გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში . ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აუტიზმის მქონე პირის ,მისი ოჯახისა და მზრუნველის ცხოვრების ხარისხზე, ზრდის მათ სოციალურ მოწყვლადობას. აუტიზმისათვის დამახასიათებელია რეციპროკული სოციალიზაციის და სოციალური კომუნიკაციის თვისებრივი ცვლილება, შეზღუდული ინტეტრესები, რიგიდული და განმეორებადი ქცევა, ცვლილებებისადმი რეზისტენტობა.ამასთან აუტიზმისათვის სპეციფიკურ ნიშნებთან ერთად შესაძლოა გამოვლინდეს სამედიცინო, სენსორული, კოგნიტური, ენისა და მეტყველების, ემოციური და ქცევის პრობლემები. მათ შორისაა რუტინის საჭიროება,სხვა ადმიანების სურვილების, გრძნობებისა და აზრების გაგებისა და გათვალისწინების სირთულე, ძილისა და კვების დარღვევა, თვითდამაზიანებელი ან აგრესიული, რთული ქცევა, ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთი პრობლემები, როგორიცაა შფოთვა,დეპრესია, ყურადღების კონცენტრაციის დარღვევა. აუტიზმისათვის დამახასიათებელი ქცევა ადრეულ ასაკშივე ვლინდება, მაგრამ შესაძლებელია გარემოს ცვლილების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შეყვანისას გახდეს თვალსაჩინო. აუტიზმს შესაძლოა ფსიქიკური ჯანმრთელობის სულ ცოტა ერთი აშლილობა მაინც ახლდეს(შემთხვევათა 70%-ში), რაც კიდევ უფრო ამძიმებს აუტიზმის მქონე პირის ფსიქოსოციალურ ფუნქციონირებას. მაგალითად, ინტელექტუალური დარღვევა(IQ<70), შფოთვითი აშლილობა ან ჰიპერკინეტიკური აშლილობა აუტიზმის მქონე პირთა დაახლოებით 50%-ს აღენიშნება. კლინიკური სურათი განსხვავებულია და დამოკიდებულია აუტიზმის

სიმძიმეზე, თანმხლებ დარღვევებსა და კოგნიტურ უნარებზე. ასევე ასაკის მატებასთან , გარემოს ცვლილებასა და ახალ მოთხოვნებთან ინტერვენციასა და თანმხლებ დარღვევებთან ერთად იცვლება აუტიზმის კლინიკური გამოვლენა. აუტიზმის მქონე ბავშვებს ესაჭიროებათ მათი მდგომარეობის მართვა, რაც დაფუძნებული იქნება შეფასების, დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის მტკიცებულებაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებზე.
2019 წელის 31 დეკემბრამდე პერიოდში“ ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“ მიერ გურიის მხარეში აუტიზმის მქონე ბავშვთა რაოდენობის დაზუსტების მიზნით მოხდა ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკური შეფასება; სულ შეფასდა 20 ბავშვი. რომლის ხარჯები სრულად დაფარა ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველომ. ა(ა)იპ „ოდა ქეარ“-ის მიერ მოემართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას ერთი წლის განმავლობაში ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო თანხების გათვალისწინება მუნიციპალურ ბიუჯეტში. ვინაიდან 2019 წლის ბოლომდე ვერ სრულდებოდა დიაგნოსტირება და უცნობი იყო ბენეფიციარების სავარაუდო რაოდენობა 2020 წლის ბიუჯეტში ვერ მოხდა „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების მუნიციპალური პროგრამის ასახვა. ბენეფიციარების რაოდენობის დაზუსტების შემდგომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წელის პროგრამულ ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის მუხლში პროგრამული კოდი: 06 02 23 ასახული იქნა „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსება. პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლია ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან(R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. პროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს და ღონისძიებებს: ა) პროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის კორექტირება. ბ) პროგრამის მოსარგებლისათვის თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს. წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა ოდენობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 13 სეანსი, ხოლო წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში,სეანსების ოდენობის არანაკლებ 1/4. ამასთან მშობლის თანხმობის შემთხვევაში სეანსის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს განსხვავებულ გარემოში. გ)ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება; დ)6 თვეში ერთხელ მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის

შედეგების შეფასება/გადაფასება. „მუნიციპალიტეტი დააფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურეობის მიხედვით მაგრამ არაუმეტეს თვეში 400(ოთხასი) ლარისა.

.ანგარიშგება1. სერვისის მომწოდებელი ორგანიზაცია ვალდებული იყო განმახორციელებელს ყოველთვიურად არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, წარუდგინოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია.2.ანგარიშგებისას მომწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი(ანგარიშფაქტურა) 3. შესრულებულ მომსახურებად ჩაითვლება საანგარიშგებო თვეში მოსარგებლისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა.

8. მიღბული შედეგი და დადებითი გავლენა

ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამით ისარგებლა 7 ბენეფიციარმა..

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

ზემოაღნიშნულიპროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამა წ ლის დასაწყისიდან გათვლილი იყო 10 ბენეფიციარზე და პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 44 000 ლარს ასევე გათვალისწინებული იყო ერთი სეანსის ღირებულება 20 ლარის ოდენობით.

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამაში ცვლილების მიზნით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების პროექტის განხილვისას საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ დაისვა საკითხი სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებასთან დაკავშირებით: კერძოდ პროგრამული ბიუჯეტით 1 სეანსის ღირებულება განსაზღვრული იყო 20 ლარი. პროგრამის მოსარგებლისათვის განსაზღვრულია თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება. პროგრამის ხარჯი 1 თვე შეადგენდა 400 ლარს. **სერვისის მომწოდებელ ორგანიზაციებში 1 სეანსის ღირებულება განსაღზვრულია** სხვადასხვა ფასით, რაც საერთო ჯამში პრობლემას უქმნიდა ბავშვებს. ეთხოვა მუნიციპალიტეტის მერიას საკითხის შესწავლა და პრობლემის მოგვარება. საკითხი შესწავლილი იქნა მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ. მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში შემოსული ერთ-ერთი ბენეფიციარის მშობლის განცხადებაში რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მის მიერ შერჩეულ სერვისის მომწოდებელ ორგანიზაციაში 1 სეანსის ღირებულება შეადგენდა 30 ლარს. სამსახურის მიერ გადამოწმდა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციებთან ინფორმაცია. სერვისის **მომწოდებელ ორგანიზაციებში 1 სეანსის ღირებულება განსაღზვრული იყო** სხვადასხვა ფასით და იგი რიგ ორგანიზაციებში შეადგენს 20; 25; და 30 ლარს.

ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე პროგრამული ბიუჯეტიდან ამოღებული იქნას ჩანაწერი „1 სეანსის ღირებულება 20 ლარი". და მის ნაცვლად გაკეთდეს ჩანაწერი „მუნიციპალიტეტი დააფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურეობის მიხედვით მაგრამ არაუმეტეს თვეში 400(ოთხასი) ლარისა". ზემოაღნიშნული ცვლილება არ იწვევდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას და მისი მიღება განხორციელდა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ მომზადდა პროექტი რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის განხორციელების პროცესში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის ღ) ქვეპუნქტის თანახმად **მუნიციპალიტეტი შეარჩევდა სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს** კონკრეტულ კრიტერიუმებს. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სარეაბილიტაციო კურსის ადგილზე (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში) მოწოდებაზე გამოცხადებული იყო ტენდერი, რომელიც არ შედგა. ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ვინაიდან პროგრამა გათვლილი იყო 11 თვეზე და არ შედგა ტენდერი ასევე განმეორებით გამარტივებული ტენდერის გამოცხადება დამატებით გაიწელებოდა დროში, რითაც ხელი შეეშლება ბავშვებს სარიაბილიტაციო კურსის დაფინანსებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მართებულად მივიჩნიეთ ბავშვების სარეაბილიტაციო კურსის ვაუჩერული პრინციპით დაფინანსება. ამისათვის შევიტანეთ ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ღ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0-დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან (R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნების დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულნი;

პროგრამაში ჩართვისთვის ბავშვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა პროგრამაში ჩართვის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში - აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვთა ფსიქიატრის მიერ გაცემული მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელშიც მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, ADOS ტესტირების შედეგი; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

შენიშვნა: წესის მე-4 მუხლის ღ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1) შესაბამისი მომსახურების მიწოდებისთვის ორგანიზაციას უნდა ჰყავდეს ქცევითი თერაპევტი.

2) ქცევითი თერაპევტის (10 მოსარგებლეზე, არანაკლებ, 1 თერაპევტი) ყოლა, რომელიც არის ბავშვის ქცევითი აშლილობების მართვის უნარ - ჩვევების მქონე დიპლომირებული სპეციალისტი ფსიქოლოგიაში და გავლილი აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის ბაზისური მომზადების კურსი, რაც დასტურდება სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით;

3) აუცილებელია, ყოველ 5 ქცევით თერაპევტზე ჰყავდეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ერთი ქცევითი თერაპევტი, რომელსაც შეუძლია: ბავშვის/მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება შესაბამისი საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუმენტები: ABLLS,VB-MAPP და სხვა); ინდივიდუალური თერაპიული პროგრამის შედგენა; აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დამოუკიდებლად მუშაობის, სულ მცირე, 2 წლის გამოცდილება;

4) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერალურ-ტექნიკური ბაზით (თითოეული მოსარგებლისათვის ერთი-ერთზე სერვისის განსახორციელებლად).

რეაბილიტაციური სერვისის განხორციელების საჭირო ხარჯი დაფინანსდება მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, რომელიც შესრულებული სამუშაო კალკულაციის შესაბამისად გადაირიცხება შემსრულებელი ორგანიზაციის ანგარიშზე.

წლის დასაწისიდან კოვიდ -19 პანდეემიის გამო ვერ მოხდა პროგრამის სრულად ათვისება პროგრამით ისარგებლა ჯამში 7 ბავშვმა და პროგრამიდან გაიხარჯა 14270 ლარი. რის გამოც ცვლილება შევიდა მუნიციპალიტეტის პროგრამულ ბიუჯეტში კერძოდ: „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამაში“ როგორც ფინანსურ ნაწილში ასევე დასაფინანსებელი ბენეფიციარების რაოდენობის ნაწილში.

პროექტის განხოციელების საფუძველი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილება და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილება.

პროქტში ჩართული იყო არასამთავრობო ორგანიზაციები: ა(ა)იპ „ოდა ქეარ“-ი. ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“. ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის ასოციაცია „საბა“.

პროექტისთვის გამოყენებული იყო როგორც საკუთარი ადამიანური რესურსი ასევე ასევე არასაკუთარი რესურსი.

ფინანსური რესურსი სერვისის დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

პროექტის დაგეგმვის და განხოციელების ეტაპზე ჩართული იყო არასამთავრობო ორგანიზაციები: ა(ა)იპ „ოდა ქეარ“-ი. ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“. ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის ასოციაცია „საბა“.

პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების ხელშეწყობას. პროგრამის განხოციელებით 7 აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვს დაუფინანსდა მომსახურეობა.

პროქტი სარგებლობს მოსახლეობის მხარდაჭერით.

„აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ შეტანილია 2022 წლის ბიუჯეტში. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 51600 ლარს. პროგრამა გათვლილია 13 ბენეფიციარზე, დღეის მდგომარეობით პროგრამით სარგებლობს 9 ბავშვი.

10. საკრებულოს როლი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს როლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ამ პროექტის ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში. საკრებულოს მიერ პროექტი შეფასდა დადებითად.

საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ იყო დადებითი.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

„აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ შეტანილია 2022 წლის ბიუჯეტში. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 51600 ლარს პროგრამა გათვლილია 13 ბენეფიციარზე. დღეის მდგომარეობით პროგრამით სარგებლობს 9 ბავშვი.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

13. თამარ ფირცხალაიშვილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი ტ: 595377407 ელ-ფოსტა: tamarfircxalaishvili@yahoo.com

14. თანდართული დოკუმენტაციის ნუსხა:

ა(ა)იპ „ოდა ქეარ“-ის 2019 წლის 14 ნოემბრის N20 წერილი;

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილება და დადგენილებაში ცვლილებები.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილება და დადგენილებაში ცვლილებები.

შეხვედრის ფოტო მასალა.

ცხადის მიღების ვადაა 2022 წლის 18 მარტი.

• **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge